



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34212284

თარიღი:16/08/2021

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს COVID-19 -თან დაკავშირებით ახალი რეგულაციების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების, ასევე პანდემიისთვის დაწესებული რეგულაციების დაცვის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2021 წლის 16 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, სამსახურებრივი უფლებამოსილება განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში.
2. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა უფლებამოსილების განხორციელებაზე კოორდინაცია უზრუნველყონ: მუნიციპალიტეტის მერმა, მერის მოადგილეებმა, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიების თავმჯდომერეებმა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებმა.
3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის კონკრეტული საჯარო მოხელის სამსახურში გამოცხადების თაობაზე შეტყობინებას უზრუნველყოფს სამსახურის ხელმძღვანელი.
4. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა, უზრუნველყონ იმ საჯარო მოხელეების სამსახურში გამოცხადება, რომელთა სამუშაო ფუნქციის განხორციელება შეუძლებელია დისტანციურად.
5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

